განმარტებითი ბარათი

„2017 წლის 17 იანვრის „საქართველოსა და არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდს შორის სასესხო ხელშეკრულების „ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი (ხულო-გოდერძის მონაკვეთი)“ ცვლილების შეთანხმების“ თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის № 1531 განკარგულების შესაბამისად საქართველოსა და არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდს (KFAED) შორის 2017 წლის 17 იანვარს ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებას ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი (ხულო-გოდერძის მონაკვეთი) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 9 მარტის № 357-IIს დადგენილებით).

პროექტი ითვალისწინებს ბათუმი-ახალციხის არსებული ორზოლიანი გზის დაახლოებით 29 კმ. მონაკვეთის (ხულო-გოდერძის მონაკვეთი) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას. პროექტი ასევე მოიცავს 4 ხიდის რეკონსტრუქციას, წყალგამტარი მილების, შესაბამისი სადრენაჟე სისტემების მოწყობას და ასევე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მონიშვნებს. პროექტის განხორციელების მიზნით KFAED-ის მიერ გამოყოფილ იქნა 8,000,000 ქუვეითური დინარის (დაახლოებით 26.5 მლნ აშშ დოლარი) ოდენობის ფინანსური რესურსი სესხის სახით.

სესხის ფინანსური პირობებია:

სესხის ვალუტა: ქუვეითური დინარი;

სესხის ხანგრძლივობა: 25 წელი (მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 5 წელი);

წლიური საპროცენტო განაკვეთი: 2%;

ადმინისტრირების საკომისიო: 0.5% სესხის ჩამორიცხულ თანხაზე.

პროექტის განმახორციელებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მეშვეობით. სასესხო ხელშეკრულების მიხედვით სესხის ფარგლებში თანხის გამოთხოვის ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 2021 წლის 31 დეკემბერი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მომართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აღნიშნულ სასესხო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თხოვნით, რომელიც ითვალისწინებდა:

- სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში არსებული დანაზოგის გაუქმებას (2,300,000 ქუვეითური დინარი (დაახლოებით 7.4 მლნ აშშ დოლარი));
- სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის ფარგლებში თანხის გამოთხოვის ბოლო ვადად 2025 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრას (ნაცვლად 2021 წლის 31 დეკემბრისა);
- ხელშეკრულების „დანართ 2“-ში („პროექტის აღწერა“) ცვლილების შეტანას, კერძოდ პროექტის ფარგლებში 29 კმ-იანი მონაკვეთის ნაცვლად 24 კმ-იანი მონაკვეთის განსაზღვრა.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ხულო-გოდერძის უღელტეხილის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიას (Todini Construzioni General S.p.A) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო 2020 წლის 6 მარტს შეუწყდა ხელშეკრულება.

სამუშაოების დაწყების გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინადადებით და KFAED-ის თანხმობით, პირველი ლოტიდან გამოიყო საწყისი 5 კმ-იანი მონაკვეთი და დაფინანსების წყაროდ განისაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტი (კონტრაქტის ღირებულება 14,581,880 ლარი), ხოლო სამუშაოების დასრულების თარიღად - 2021 წლის 11 დეკემბერი.

გამოცხადებული ხელახალი ტენდერის შედეგად, 2020 წლის 9 ოქტომბერს ხელშეკრულება გაფორმდა კომპანია „Sinohydro Corporation Limited"-თან (კონტრაქტის ღირებულება 57,177,829.25 ლარი (დაახლოებით 5,455,066.90 ქუვეითური დინარი), საიდანაც KFAED-ის დაფინანსების ოდენობა 4,242,932.55 ქუვეითური დინარია). სამუშაოების დაწყების თარიღი იყო 2021 წლის 20 იანვარი, ხოლო დასრულების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 19 იანვარი. ამავე ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოების დასრულების შემდეგ, დეფექტების შეტყობინების ვადა შეადგენს 730 დღეს (2025 წლის 18 იანვარი). პროექტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, საჭიროა განხორციელდეს ცვლილება სასესხო ხელშეკრულებაში და სესხის ფარგლებში თანხის გამოთხოვის ბოლო ვადად განისაზღვროს 2025 წლის 31 დეკემბერი (ნაცვლად 2021 წლის 31 დეკემბრისა). ასევე, ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, საჭიროა გასწორდეს სასესხო ხელშეკრულების „დანართი 2" („პროექტის აღწერა"): პროექტის ფარგლებში ნაცვლად 29 კმ-იანი მონაკვეთისა, უნდა მიეთითოს 24 კმ-იანი მონაკვეთი, ხოლო პროექტის დასრულების ვადად უნდა განისაზღვროს 2024 წელის ბოლომდე.

გარდა ზემოხსენებულისა, პირველი ლოტის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების ღირებულება შეადგენს დაახლოებით 10,564,518.38 ლარს (1,007,910.85 ქუვეითური დინარი). აღნიშნული თანხა აღემატება სესხიდან საკონსულტაციო მომსახურების კომპონენტში გამოყოფილ თანხას (720,000 ქუვეითური დინარი). საკონსულტაციო მომსახურების კომპონენტში არსებული დეფიციტის დაფინანსების წყაროდ განსაზღვრული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტი. ამ ყოველივედან გამომდინარე, პირველი კატეგორიის ქვეშ რჩება დაახლოებით 2.5 მილიონი ქუვეითური დინარის ოდენობით დანაზოგი. ამის გარდა, ასევე არსებობს სესხის ფარგლებში გათვალისწინებული 400,000 ქუვეითური დინარი გაუნაწილებელი გაუთვალისწინებელი ხარჯისთვის.

ამასთან, მათივე ინფორმაციით სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების კომპონენტში შემდგომში კურსთა შორის სხვაობა, დამატებითი სამუშაოების საჭიროება ან სხვა დამატებითი ხარჯი და საკონსულტაციო მომსახურებაზე გამოყოფილ თანხასა და საზედამხედველო მომსახურების ფაქტობრივ ხარჯს შორის სხვაობის დაფარვა განხორციელდება საბიუჯეტო სახსრებით დეპარტამენტისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 სექტემბრის N1740 განკარგულების საფუძველზე, 2022 წლის 28 სექტემბერს ხელი მოეწერა „2017 წლის 17 იანვრის „საქართველოსა და არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდს შორის სასესხო ხელშეკრულების „ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი (ხულო-გოდერძის მონაკვეთი)" ცვლილების შეთანხმებას".